

ჭინას დიტუვაობა

ქართულ სალიტერატურო ენას მრავალსაუკუნოები ისტორია აქვს. ძველი ქართული სალიტერატურო ენა, რომელზედაცაა დაწერილი V—XI საუკუნეების საეკლესიო მწერლობის ძეგლები, საქმაოდ ჩამოყალიბებული და უნიფიციონირებული ნორმების ქონება ენა იყო, თუმცა დიალექტური თუ სხვა წარმოშობის ფორმები მასშიც არაიშვიათად გვხვდება.

ამაღი სალიტერატურო ქართული ძველი ქართული სალიტერატურო ენის გაგრძელებაა. იგი წარმოიქმნა ძველი ქართული სალიტერატურო ენის განვითარებისა და გადამუშავების შედეგად. მისი შემდგომი განვითარება ხდებოდა ქართული კილოს საფუძველზე, რომელიც გაძლიერებული ქართული ფერდალური სახელმწიფოს ახალი ცენტრის — თბილისის მიმდებარე ტერიტორიაზე იყო გავრცელებული. ამაღი ქართულის წყაროდ ამ სახელმწიფოს მარათველი წრეებისა და მოსახლეობის განათლებული ფენების მეტყველებაა შეჩინეული. ეს მეტყველება წარმატებითაა გამოყენებული XII საუკუნიდან განვითარებული საერთო მწერლობის საუკუთხო ნიმუშებში.

სალიტერატურო ენაში ახალი ნაკადის შემოქრამ, ცოცხალი მეტყველების მონაწილეობის გაძლიერებამ ძველი ქართულის ნორმათა თანდათანი ცვლა გამოიწვია და ამაღი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების სათავე დაუდო.

XVIII საუკუნეში ახალი სალიტერატურო ქართულის ჩამოყალიბების პროცესი დამთავრებულია. ამის ნიმუშებს სულხან-საბა თრბელიანის პროზისა და დავით გურამიშვილის პოეზიის ენა წარმოადგენს.

მაგრამ შემდგომ ანტონ კათალიკოსის ხელოვნურმა ორთოგრაფიულმა ნორმებმა, რომლებიც არ ეყარებოდა ენის ბუნებრივი განვითარების შესწოვლის, მთელი საუკუნით შეაფერება ახალი ქართული სალიტერატურო ენის წინ-სულა.

ახალი სალიტერატურო ქართული მწერლობაში საბოლოოდ XIX საუკუნის მესამოცე წლებიდან მკვიდრდება. ეს დიდმნიშნელოვანი მობრუნება ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში ილია ჭავჭავაძის სახელს უკავშირდება.

სწორედ ამ დროიდან იწყება ჩვენში არსებითი ხსიათის მუშაობა სალიტერატურო ენის საცილობელ საკათხთა მოსაგვარებლად. ამ დროს გატარდა სერიოზული ორთოგრაფიული რეფორმა სალიტერატურო ენაში: სალიტერატურო ენამ ხელი აიღო ძველი ასოების ჩმარებაზე.

შემდგომ ქართული მწერლობის, კერძოდ, ქართული პროზის განახლებასა და განვითარებას, ქართული პუბლიცისტიკისა და უურნალისტიკის შექმნას სალიტერატურო ენის გამდიდრება და მისი გამოყენების ფარგლების გაფართო-

ება მოჰყვა. ლიტერატურულ საქმიანობაში ჩაებნენ საქართველოს თითქმის ყველა კუთხის წარმომადგენლები. ყველაფერმა ამან ხელი შეუწყიყ სალიტერატურო ენაში მოცილე პარალელურ ფორმათა მომრავლებას.

ამ გარემოებას უკვე XIX საუკუნის მეორე ნახევარშივე ყურადღება და და ქართული სალიტერატურო ენის სადაც ფორმათა შესახებ პრესაში რამდენიმე საინტერესო წერილიც გამოქვეყნდა. საუკუნის ბოლოს ასეთი ხასიათის მუშაობას უკვე ასე თუ ისე სისტემატური ხასიათი მიეკა.

ამგვარი მუშაობა კიდევ უფრო გატარებულდა ჩერნი საუკუნის დასაწყისში, კანსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც დაარსდა თბილისის უნივერსიტეტი (1918 წ.) და დასაბამი მიეკა ქართულ ენაზე მეცნიერების აღორძინებასა და განვითარებას.

ამს შედეგი იყო ის ფაქტი, რომ უკვე 1921 წელს გამოვიდა წიგნაჟი „სალიტერატურო ქართულისათვის“ (54 გვ.). რომელიც წარმოადგენდა პროექტს ქართული ორთოგრაფიის სადაც საკითხთა მოსაგვარებლად. ეს პროექტი შეადგინ კომისიამ, რომელშიც შედიოდნენ: გ. ახვლევდანი, ვუკ. ბერიძე, ს. გორგაძე, ქ. კეკელიძე და აკ. შანიძე (თავმჯდომარე); კომისიის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა აგრეთვე დ. უზნაძე.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართული სალიტერატურო ენის საცილობელ საკითხთა მოსაგვარებლად წარმოებულ მუშაობას გეგმაშეწონილი ხასიათი მიეკა.

1925 წელს დაარსდა ცენტრალური სატერმინოლოგიო კომისია, რომელიც შეცნიერების სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიების შემუშავებასთან ერთად სალიტერატურო ენის სადაც საკითხთა მოგვარებისათვისაც ზრუნვლა. ამ მხრივ წარმოებული მუშაობის შედეგები გამოწვეუნდა კიდეც 1932—1933 წლებში ცალკე ნაკვეთებად (სულ 10 ნაკვეთი).

ცენტრი უფრო გვაინ განათლების სახალხო კომისარიატთან შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელმაც გამოიმუშავა სალიტერატურო ენის სადაც საკითხთა მოწესრიგების ძირითადი პრინციპები და დადგინა სალიტერატურო ენის ზოგიერთი ნორმა. ამ კომისიის სახელით 1936 წელს დაიბეჭდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმების კრებული (84 გვ.).

სალიტერატურო ქართული ენის ამ ნორმათა საფუძველზე დამუშავდა „სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი“, რომელიც 1941 წელს გამოიცა (206 გვ.); გამორჩეული 1946 წელს დაიბეჭდა (262 გვ.), ხოლო მესამე — 1949 წელს (278 გვ.).

მუშაობა ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა უნიფიკაციისათვის შემდგომაც არ შეწყვეტილა. 1946—1948 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებობდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი კომისია, რომელმაც გარეული მუშაობა ჩატარა სადაც საკითხთა მოსაგვარებლად. (კომისიის თავმჯდომარე იყო ს. ჭანაშვილი, თავმჯდომარის მოადგილე — ვ. თოფურია; ს. ჭანაშვილის გარდაცვალების შემდეგ 1948 წ. კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა აკ. შანიძე).

შემდგომ ქართული სალიტერატურო ენის საცილობელ საკითხთა შესწავლისა და ნორმათა დადგენისათვის წარმოებულ მუშაობას უფრო სისტემატური და გეგმაშეწონილი ხასიათი მიეკა. საქართველოს სსრ მინისტრთა საპონსისათვის — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ხელმძღვანელობით — შეიქმნა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო

ფო კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან ქართული მწერლობის, ლი-ტერატურისა და პრესის მუშაქთა, სამეცნიერო დაწესებულებათა და სხვა შესა-ბამის ორგანიზაციათა წარმომადგენლები და ქართული ენის სპეციალისტები.

კომისიის დანიშნულებაა „გაუწიოს ხელმძღვანელობა ქარ-თული სალიტერატურო ენის განვითარების პროცესს იმ მხრივ, რომ ქართული სალიტერატურო ენა სრულად იყენებდეს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის პროცესში შექმნილ საგანძუროს, იყოს მაქსიმალურად მონალითური, ჭეშმარიტად ხალხური და ჭეროვნად მოვმ-სახუროს ქართველ ხალხს, როგორც სოციალისტური კულტურის წინსვლის იარაღი“.

მეორე მხრივ, 1963 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათ-მეცნიერების ინსტიტუტში შექმნილია ქართული მეტყველების კულტურის გან-ყოფილება, რომელსაც დავალებული აქვს შეისწავლის ქართული სალიტერატურო ენის განვითარების პროცესში წარმოშობილი სადაც საკითხები და შეი-მუშაოს ნორმათა პროექტები ამ საკითხთა მოსაგვარებლად. განყოფილების მიერ შემუშავებულ პროექტთა განხილვა დაკისრებული აქვს ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს; საბჭოს მიერ მოწონებული პროექტები გა-დაუცვისა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენ მუდმივ სახელმწიფო კომისიის განსახილველად და სათანადო დადგენილების მისაღებად. სახელმწიფო კომისიის მიერ დამტკიცებული ნორმები საკითხები და შემუშავებული არ არის.

ენათმეცნიერების ინსტიტუტში შეისწავლა მოსაგვარებელი საკითხები, გა-მოიყენ წინა წლებში დამუშავებული ნორმებიც ცალკეულ საკითხთა შესახებ და შეიმუშავა ნორმათა პროექტები, რომლებიც წარუდგინა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენ სახელმწიფო კომისიას. კომისიამ განიხილა და დაამტკიცა ნორმები თანამედროვე ქართული სალიტე-რატურო ენის პირველ რიგში მოსაგვარებელი საკითხებისა.

ქართული სალიტერატურო ენის ეს ნორმები, რომლებიც ახლა ქვეყნიდება, მოიცავს ორთოგრაფიისა და მორთოლოგი-სინტაქსის, აგრეთვე უცხო ენები-დან სიტყვითა შეთვისების არაერთ საკითხს.

სულ კრებულში წარმოდგენილია 40 სტატია. თითოეულ სტატიაში მოცე-მულია საკითხის წარმოშობისა და განვითარების მიმოხილვა, ენობრივი ანალი-ზი და, ბოლოს, სათანადო დასაბუთება მიღებული ნორმისა. სტატიებში დამო-წმებულია ქართული მწერლობის ძეგლებიდან, პრესიდან, სამეცნიერო ლიტე-რატურიდან თუ სახელმძღვანელოებიდან ამოღებული ნიმუშები საცილობელი პარალელური ფორმებისა.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის აქ წარმოდგენილი ნორმები ქართული ენის შესწავლის თანამედროვე მდგომარეობას ასახავს. ორიოდე გა-მონაჯლისის გარდა, სამეცნიერო ლიტერატურაზე მითითებული წიგნში წარმოდ-გენილი არაა მისი ხასიათის გამო.

სალიტერატურო ქართულის ნორმების განხილვისას თანამედროვე ქარ-თული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომი-სიის მუშობაში მონაწილეობას იღებდნენ კომისიის წევრები: გ. ჭავახი-შვილი (კომისიის თავმჯდომარე), ირ. აბაშიძე, გ. ახვლედიანი, ალ. ბარამიძე, ნ. ბერძენიშვილი, შ. გამყრელიძე, ივ. გა-

გინერაცილი (მდივანი), ი. გრიშაშვილი, კ. თოფურია, გ. ლეონიძე, ქეთ. ლომთათიძე (თავმჯდომარის მთადგილე), აკ. შანიძე, აჩ. ჩიქობავა, გ. წერეთელი და, სხვადასხვა დროს, ი. დოლიძე, დ. მჭედლიშვილი და გ. ჯიბლაძე.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების შემუშავებისას ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს და თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგრენ მუდმივ სახელმწიფო კომისიას მსჯელობისათვის გმოყვენებული ქვეს სხვადასხვა ავტორის მოხსენებები.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენის პრინციპებს საფუძვლად დაედო აჩ. ჩიქობავას მოხსენების დებულებები.

ნორმებს სალიტერატურო ქართულის ცალკეულ საკითხთა შესახებ საფუძვლად დაედო მოხსენებები:

1. ნ. აბესაძისა:

ა) რუსულის გზით შემოსულ ეა-ზე დაბოლოებულ სიტყვათა გაღმოცემა ქართულში.

ბ) რუსულის გზით შემოსულ ა-ზე დაბოლოებულ სიტყვათა გაღმოცემა ქართულში.

გ) ოლვიარებ თუ ვალიარებ? ოლვიარე თუ ვალიარე? ოლმიარებია თუ მილი-არებია?

2. გ. ახვლედიანისა:

ა) ქ-ს შემცველ რუსულ და რუსულის გზით შემოსულ სიტყვათა გაღმოცემა ქართულში.

ბ) წ-ს შემცველ რუსულ და რუსულის გზით შემოსულ სიტყვათა გაღმოცემა ქართულში.

გ) უმახვილო ი-ს შემცველ რუსულ და რუსულის გზით შემოსულ სიტყვათა გაღმოცემა ქართულში.

3. ივ. გიგინერაცილისა:

ა) რიცხვითი სახელების მართლწერის საკითხები.

ბ) მოსაცარებელი საკითხები ადამიანთა სახელების ბრუნებისას.

გ) თანდებულთა და თანდებულიან სახელთა მართლწერა.

დ) სახელის შეწყობა ცალკე მდგომ თანდებულებთან და ზმინისართებთან-ნათესაობითსა და მიცემითს ბრუნებში.

ე) პრევერბების ხმარებასთან დაკავშირებული საკითხები.

ვ) პ-და ს- თაესართების ხმარება ზმნებში.

ზ) -ევ სუფიქსიანი ზმნების ვნებითი გვარის ფორმათა წარმოება დრო-კილოთა მეორე ჭგუფებში.

თ) ნოქაშს თუ ნოქავს? ჩანოქაშს თუ ჩანოქავს? ჩაუნოქაშს თუ ჩაუნოქავს?

4. კ. თოფურიასი:

ა) -ე, -ევ, -და, -დაც(ა) ნაწილაკიან სახელთა ბრუნება.

ბ) ნანათესაობითარი მაზლვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან ბრუნვებში (წიგნს ამხანაგისას თუ წიგნს ამხანაგისა?).

გ) შერწყმული დანართის მართლწერა (სახლი-მუზეუმი თუ სახლ-მუზეუ-მი?).

დ) -ავ სუფიქსიანი ზმნების მართლწერა.

5. კ. თოფურიასი და ივ. გიგინერაცილისა (ერთობლივად):

- ა) ვ ბეგრის შემონახვის, ჩართვისა და დაკარგვის წესები.
 ბ) როული სიტყვების (კომპოზიტების) დაწერილობა.
 გ) სხვათა სიტყვის მართლწერის საკითხები.
 6. ლ. ლევაცასი:
 მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან მრავლობით რიცხვში.
 7. ს. ყაუხჩიშვილისა:
 ა) ბერძნულიდან და ლათინურიდან მომდინარე სიტყვათა დაწერილობა
ქართულში.
 ბ) ზედსართავი სახელების წარმოება ბერძნულიდან მომდინარე მა-ზე და-
სრულებულ არსებით სახელთაგან.
 8. აკ. შანიძისა:
 ა) თ-ს შემცველ რუსულ და რუსულის გზით შემოსულ სიტყვათა გაღმო-
ცემა ქართულში.
 ბ) ეროვნის ენებიდან მომდინარე სა და ს ჯგუფებიანი სიტყვების გაღ-
მოცემა ქართულში.
 გ) მიმართულებითი ბრუნვის დაბოლოება.
 დ) წოდებითი ფორმის დაბოლოება.
 9. არნ. ჩიქობაცასი:
 ა) სუბიექტის -ს ობიექტის მრავლობითობის თ-ს წინ (მათ ის აქვთ თუ
აქვთ? ის თქვენ გიგზავნისთ თუ გიგზავნით? ის თქვენ დაგიდგამსთ თუ დაგიდ-
გამთ?).
 ბ) ი-და ე- პრეფიქსებიანი ვნებითი გვარის ზმნების მრავლობითი რი-
ცხის ფორმათა წარმოება ღრო-კილოთა II ჯგუფში (ისინი დაიმალნენ თუ და-
იმალენ? დაემალნენ თუ დაემალენ მას? დაესწრენენ თუ დაესწრენ? შეეჩივნენ
თუ შეეჩივენ მას?).
 გ) სუბექტის III პირის მრავლობითობის ნიშანი ღრო-კილოთა პირველ,
მეორე და მესამე ჯგუფებში (ისინი აშენებდნენ თუ აშენებდენ? იზრდებოდნენ
თუ იზრდებოდნენ? გაფიტორდნენ თუ გაფიტორდენ? მოვიდნენ თუ მოვიდენ? შე-
კითხებოდნენ თუ შეკითხებოდნენ?).
 დ) ერთპირიანი ვნებითი გვარის ზმნების ფორმათა წარმოება თურმეო-
ბით პირველსა და თურმეობით მეორეში (ცშობილვარ თუ შობილვარ? ცშობი-
ლიყავი თუ შობილვიყავი?).
 ე) ორპირიანი გარდაუვალი ვნებითი გვარის ზმნების ფორმათა წარმოება
თურმეობით მეორეში (შევკითხებოდი თუ შევკითხებიყავი?).
 ვ) ორპირიანი -ვ და -მ სუფიქსებიანი ზმნების ფორმათა წარმოება
თურმეობით პირველს (გაუბედავს თუ გაუბედია? მოუკლავს თუ მოუკლია?
დაუბამს თუ დაუბა? შეუსვამს თუ შეუსვია? უნახავს თუ უნახია?).
 ზ) -ებ სუფიქსიანი გარდამავალი ზმნების ფორმათა წარმოება თურმეო-
ბით მეორესა და კავშირებით მესამეში (აეშენებინა თუ აეშენებია? აეშენები-
ნოს თუ აეშენებიოს?).
 თ) ორპირიანი გარდამავალი ზმნების ფორმათა წარმოება თურმეობით პირ-
ველსა და თურმეობით მეორეში (გაუტეხია თუ გაუტეხნია? გატეხა თუ გატ-
ტეხნა?).
 10. ს. განიშვიასი:
 ა) გერმანული ეს დიფონგის გაღმოცემა ქართულში.

ბ) ზედსართავ სახელთა წარმოება ნასესხებ სიტყვათაგან -ურ სუფიქ-
სით.

გ) მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან ბრუნვაში (წითელი
დროშის თუ წითელ დროშის?).

ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს დამატების სახით ერთვის ადა-
მიანთა სახელების სარეკომენდაციო სია, რომელიც შემუშავებულია საქარ-
თველოს მეცნიერებათა ყადემიის ხაზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილე-
ბის მეტრ გამოყოფილი სპეციალური კომისიის მიერ. კომისიაში შედიოდნენ:
ილ. აბულაძე, ნ. ბერძენიშვილი, ივ. გიგინე იშვილი,
ი. დოლიძე (თავმჯდომარე), ვ. თოთურია, ნ. კეცხოველი, ქეთ.
ლომთათაძე, აკ. შანიძე, არნ. ჩიქობავა, გ. წერეთველი.
განმარტებით წერილი „ადამიანთა სახელების სარეკომენდაციო სიის შეღე-
ნილობის შესახებ“ დაწერილია ივ. გიგინე იშვილის მიერ.

საცილობელ პარალელურ ფორმათა ნიმუშებში, რომლებიც სტატიებშია
მოყვანილი, ავტორთა ორთოგრაფია დაცული.

წიგნს ერთვის მასში განხილულ სიტყვა-ფორმათა ორთოგრაფიული საძი-
ებელი.

სანამ ნორმები მთლიანად გამოიცემოდა ცალკე წიგნად, რამდენიმე სტატია
დაბეჭდა კიდეც. ამ ნორმათა საფუძველზე გამოქვეყნდა სხვადასხვა ავტო-
რის რამდენიმე პოპულარული წიგნაკი ქართული მეტყველების კულტურის სა-
კითხებზე და მართლწერის დამხმარე სასკოლო სახელმძღვანელო. ამ ნორმებს
ემყარება მთლიანად „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“, რომელიც
1968 წელს გამოიცა.

ქართულ სალიტერატურო ენას დიდი ხნის ისტორია და მეტად მდიდარი
ტრადიციები მოეპიკება. მასში ერთმანეთის გვერდით დღესაც მტკიცედაა და-
ცული სხვადასხვა ეპოქაში ჩამოყალიბებული ფორმები. ასეთი სალიტერატუ-
რო ენის ნორმათა უნიფიკაცია სინელექტანაა დაკავშირებული. კერძოდ,
ტრადიცია მძლავრად მოქმედი ფაქტორია ჩვენი სალიტერატურო ენისა. აქ
წარმოდგენილ ნორმათა დადგენისას ტრადიციის ყოველთვის ექცევლა სათანა-
დო ყურადღება.

იმ საფუძვლების შესახებ, რომელთაც ემყარება სალიტერატურო ქართუ-
ლის ნორმები, მკითხველი პასუხს იპოვის წერილში — „თანამედროვე ქართუ-
ლი სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენის პრინციპები“ — რომლითაც ეს
წიგნი იწყება.